186
1976

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1

იანვარი—თებერვალი

1976 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1 იანვარი—თებერვალი 1976 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები

1. წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის 1976 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.
2. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დამატებითი გარდამავალი წითელი დროშების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

3. საუკეთესო მეცნიერული ნამუშევრებისათვის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერებისათვის მედლებისა და პრემიების დაწესების შესახებ
4. არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაცვლად ახალი მიწების ათვისებისათვის საჭირო სახსრების ანაზღაურების ნორმებისა და აღნიშნული მიწების ათვისების წესის შესახებ
5. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების სარევიზიო აპარატის საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ
6. ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის სამუშაოთა ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

1. მარქსის სახ. საქ. სსრ
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. რაიონულ ბიუჯეტებში მიზნობრივი საბიუჯეტო რეზერვების წარმოქმნის წესის გაუქმების შესახებ
8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 10 ოქტომბრის № 558 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს დებულების მე-6 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შეცვლის შესახებ
9. გადიდების მიზნით მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადასინჯვისა და მშენებლობის ხანგრძლივობის ვადების გაჭიანურების ფაქტების შემოწმების შედეგების შესახებ
10. „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში აღრიცხვა-ანგარიშგების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ოქტომბრის № 623 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე
11. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეანობათა და გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის სახელის გადარქმევის შესახებ
12. საყოველთაო სწავლების ფონდის შექმნისა და ხარჯვის დებულების დამტკიცების შესახებ
13. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მანქანა-ტრაქტორთა პარკის ტექნიკური მდგომარეობისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ
14. იაკობ გოგებაშვილის მედლის დებულების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები

1 წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის 1976 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ საქართველოს მშრომელებმა სკკპ XXIV ყრილობის დიდებულ წინასწარდასახულობათა შესრულებისათვის ბრძოლის გაძლიერების, პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის განუხრელი განხორციელებისა და მეცხრე ხუთწლედში საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს კომუნისტურ მშენებლობაში.

რესპუბლიკაში დიდი ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობაა გაწეული ხუთწლედის დამდეგს სახალხო მეურნეობის განვითარებაში დაშვებული ჩამორჩენის დასაძლევად. ვადამდე შესრულდა მეცხრე ხუთწლედის დავალება სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის მიხედვით. პროდუქციის გამოშვება ხუთწლედში 40,1 პროცენტით გაიზარდა, მაშინ როცა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებული იყო 39 პროცენტი. შრომის ნაყოფიერება, ნაცვლად დავალებით გათვალისწინებული 30 პროცენტისა, გადიდდა 32 პროცენტით, რის შედეგადაც უზრუნველყოფილია წარმოების მატების 85,3 პროცენტი. ვადამდე შეასრულეს ხუთწლედი რესპუბლიკისათვის დიდმნიშვნელოვანი ისეთი დარგების მშრომელებმა, როგორიცაა კვების, ხორცისა და რძის მრეწველობა. განხორციელდა საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ხელახალი ტექნიკური აღჭურვის ღონისძიებანი. კომპლექსურად მექანიზებული და ავტომატიზებულია 350-ზე მეტი საამქრო და უბანი, დადგმულია 900 მექანიზებული ნაკადური და ავტომატური ხაზი, ხარისხის ნიშანი მიენიჭა 247 ნაკეთობას.

შემდგომ განვითარდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობის პროდუქციამ მთლიანად მეცხრე ხუთწლედში შეადგინა 5.939 მილიონი მანეთი, რაც 918 მილიონი მანეთით, ანუ 18,3 პროცენტით აღემატება მერვე ხუთწლედის დონეს.

სოფლის მშრომელებმა ხუთწლედში დავალების გადამეტებით მიჰყიდეს სახელმწიფოს 220 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ქვეყანას დამატებით მისცეს 125 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 175

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათასი ტონა მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი, 94 ათასი ტონა ხორცი და 54 ათასი ტონა რძე. 1975 წელს რესპუბლიკის მევენახეებმა საქართველოს მევენახეობის მთელი ისტორიის მანძილზე პირველად მოიწიეს და ჩააბარეს სახელმწიფოს 408 ათას ტონაზე მეტი ყურძენი — 28 პროცენტით მეტი, ვიდრე 1974 წელს. შრომის ნაყოფიერება სოფლის მეურნეობაში გაიზარდა 26 პროცენტით, ხოლო მარტო 1975 წელს — 15 პროცენტით.

წარმატებით იშრომეს აგრეთვე საქართველოს სამშენებლო ინდუსტრიის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მშრომელებმა.

მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს რესპუბლიკის შრომითს კოლექტივებში ბევრი საყურადღებო ინიციატივა ჩაისახა. ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა გამოიჩინა თაოსნობა: „თითოეულ კვადრატულ მეტრ საწარმოო ფართობზე მივიღოთ მაქსიმალური ოდენობის პროდუქცია და ამასთანავე გავზარდოთ ფონდუკუგება და შრომის ნაყოფიერება“. თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში მეკოპეთა ბრიგადამ, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. კურტანიძე ხელმძღვანელობს, იკისრა ვალდებულება მეათე ხუთწლედის დამლევისათვის მიაღწიოს დარგში უმაღლეს გამომუშავებას. ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კომპლექსური მექანიზაციის რგოლი, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. მეუნარგია ხელმძღვანელობს, შრომობს დევიზით „რაოდენობაც და ხარისხიც“.

დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში დაიწყო მეათე ხუთწლედი. თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“, თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის, რუსთავის ქიმიური ქარხნის, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის მ. კალინინის სახელობის კოლმეურნეობის, გარდაბნის რაიონის მარტყოფის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის, ახალქალაქის რაიონის სოფელ ხულგუმოს კოლმეურნეობისა და „საქსოფლტექნიკის“ გორის რაიონული გაერთიანების კოლექტივებმა, რომლებიც დადგნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, იკისრეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი და გადაწყვიტეს წარმოების ეფექტიანობის ყოველმხრივი ამაღლების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა უსწრაფესი დანერგვის, მომჭირნეობისა და ყაირათიანობის, მთელი შინაგანი რეზერვების უფრო სრულად გამოყენებისა და პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების საფუძველზე მეათე ხუთწლედის პირველი წელი აღნიშნონ მაღალნაყოფიერი შრომით და ვადამდე შეასრულონ 1976 წლის დავალებანი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, მხარს უჭერენ და იწონებენ რა საქართველოს მშრომელთა შემოქმედებითს ინიციატივას, ადგენენ:

1. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა და სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისიებმა:

— მიიღონ განუხრელი შესრულებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 21 იანვრის № 49 დადგენილება „წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, 1976 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი, მიიჩნიონ ისინი მოქმედების სახელმძღვანელოდ;

— წარმართონ ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა იმისათვის, რომ ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება ლოზუნგით: „ავამაღლოთ წარმოების ეფექტიანობა და გავაუმჯობესოთ მუშაობის ხარისხი ეკონომიკისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ზრდისათვის“;

— სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზატორთა და მონაწილეთა ღონისძიებანი მოახმარონ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და თითოეული მშრომელის, თითოეული შრომითი კოლექტივის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას, პროდუქციისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ტექნიკური დონისა და ხარისხის განუხრელ ამაღლებას, უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვების მნიშვნელოვან გადიდებას, ისეთი მანქანების, მოწყობილობისა და ხელსაწყოების შექმნას, რომლებიც თავიანთი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით სჯობს საუკეთესო სამამულო და მსოფლიო ნიმუშებს;

— უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების ზრდის სწრაფი ტემპი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემდგომი დაჩქარების, მუშაკთა კვალიფიკაციისა და პროფესიული ოსტატობის ამაღლების, შრომის ორგანიზაციის, წარმოებისა და მართვის სრულყოფის, სამუშაო დროის რაციონალური გამოყენების საფუძველზე;

— სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საწარმოო სიმძლავრეთა უფრო ეფექტიან გამოყენებას, მანქანებისა და მოწყობილობის მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტის გადიდებას, მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციის დაჩქარებას;

— დარაზმონ შეჯიბრების მონაწილენი იმისათვის, რომ გააძლიერონ მომჭირნეობის რეჟიმი, შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება და მასალატევადობა, დაზოგონ ნედლეული, მასალები, სათბობი, ელექტროენერგია, აგრეთვე ფინანსური რესურსები;

— უზრუნველყონ მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლება და მისი შედეგების დანერგვა სახალხო მეურნეობაში;

— უზრუნველყონ პროდუქციის გამოშვების გადიდება, ამასთან დაწესებული ნომენკლატურისა და ასორტიმენტის მიხედვით საგეგმო დავალებათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავალდებულო შესრულება, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოებში სახალხო მოხმარების მაღალხარისხოვანი საქონლის წარმოება;

— ყოველი ღონისძიებით გააძლიერონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა სოფლის ყველა მშრომელთა შორის, რათა მიაღწიონ მარცვლეულის, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილის, ციტრუსების, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ბოსტნეულის, თამბაქოს, ეთერზეთოვანი კულტურების, ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლისა და მიწათმოქმედების და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების შემდგომ გადიდებას, მიწათმოქმედების მაღალი კულტურისათვის მასობრივი მოძრაობის ეფექტიანობის ამაღლებას, თითოეული ჰექტარი მიწის რაციონალურად გამოყენებას, ნათესი ფართობების სტრუქტურის სრულყოფის, ტექნიკისა და სასუქების უფრო ეფექტიანად გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებას;

— უზრუნველყონ ყველა სახეობის სატრანსპორტო საშუალებებით სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მომსახურების, არასაწარმოო სფეროს ყველა დარგის მუშაობის გაუმჯობესება, მომსახურების მოცულობისა და სახეობების გაფართოება, მუშაობის კულტურის ამაღლება;

— უზრუნველყონ საჭირო პირობების შექმნა, რათა მუშებმა და კოლმეურნეებმა, ყველა შრომითმა კოლექტივმა წარმატებით შეასრულონ სოციალისტური ვალდებულებანი.

1976 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები შეაჯამონ ზემოაღნიშნული მაჩვენებლების გათვალისწინებით შემუშავებული ახალი პირობების საფუძველზე.

დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს პროფკავშირთა შესაბამის რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად შეიმუშაონ და დაამტკიცონ საამქროების, უბნების, ბრიგადების, რგოლების, განყოფილებების, ფერმების სოციალისტური შეჯიბრების, აგრეთვე პროფესიების მიხედვით სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების პირობები და წესი.

2. მოეწყოს 1976 წელს რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრება:

— ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოებისა და ორგანიზაციებისა — წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, 1976 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის;

— სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისა და საწარმოების კოლექტივებისა — მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, სახალხო მეურნეობაში მისი შედეგების გამოყენების დაჩქარებისათვის.

3. წლის შედეგების მიხედვით რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად დაწესდეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტის 72 გარდამავალი წითელი დროშა მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და სხვა დარგებში, აქედან:

— საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქისათვის — 1, ქალაქებისათვის — 7 გარდამავალი წითელი დროშა; ქ. თბილისის რაიონებისათვის — 4, რესპუბლიკის სამრეწველო რაიონებისათვის — 6 გარდამავალი წითელი დროშა;

— საწარმოთა, საწარმოო გაერთიანებათა, მშენებლობათა, სამეცნიერო-კვლევით და სხვა ორგანიზაციათა კოლექტივებისათვის — 54 გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომები და ფულადი პრემიები 38 ათას მანეთამდე ოდენობით.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის შემდგომი გადიდებისათვის რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის, რაიონების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და რესპუბლიკის სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების დასაჯილდოებლად დაწესდეს 72 გარდამავალი წითელი დროშა, აქედან:

— ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქისათვის — 1 გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია 10-დან 15 ათას მანეთამდე ოდენობით;

— რაიონებისათვის — 10 გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემიები 5-დან 10 ათას მანეთამდე ოდენობით; გარდა ამისა, პირუტყვის მაღალხარისხოვანი საკვების წარმოების გადიდებისათვის შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონებისათვის — 1 გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია 5 ათასი მანეთის ოდენობით, სანაწვერალო კულტურების წარმოებისათვის შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონებისათვის — 1 გარდამავალი წითელი დროშა და საკვების წარმოებისა და დამზადების და სანაწვერალო და შორისული კულტურების მოვლა-მოყვანის ორგანიზაციაში დახმარების გაწევისათვის მშრომელთა დეპუტატების სადაბო და სასოფლო საბჭოების დასაჯილდოებლად —2 გარდამავალი წითელი დროშა, რაიონებისათვის: ბოსტნეულის წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის — 2 და კარტოფილის წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის — 1 გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია 3-დან 5 ათას მანეთამდე ოდენობით;

— ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიხედვით რაიონებისათვის — 10 გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემიები 5-დან 10 ათას მანეთამდე ოდენობით, მათ შორის: მეჩაიეობაში — 2, მევენახეობაში — 2, მეხილეობაში — 2, მეცხოველეობაში — 2, მეჭარხლეობაში — 2;

— კოლმეურნეობებისათვის — 20 გარდამავალი წითელი დროშა; საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებისათვის — 10 გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემიები; გარდა ამისა, პირუტყვის მაღალხარისხოვანი საკვების წარმოების გადიდებისათვის: კოლმეურნეობებისათვის — 2, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებისათვის — 1 გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემიები; ბოსტნეულის წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის: კოლმეურნეობებისათვის — 2, საბჭოთა მეურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის — 2; კარტოფილის წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის: კოლმეურნეობებისათვის — 2, საბჭოთა მეურნეობებისათვის — 1 გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემიები;

— „საქსოფლტექნიკის", მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, დამზადების სამინისტროს, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ორგანიზაციებისათვის დაწესდეს 4 გარდამავალი წითელი დროშა, აქედან: „საქსოფლტექნიკის" კოლექტივებისათვის — 1, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს — 1, დამზადების სამინისტროს — 1, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის კოლექტივებისათვის — 1 გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომები და ფულადი პრემიები.

4. გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოებულ რაიონებს, კოლმეურნეობებს, საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციებსა და სამეცნიერო დაწესებულებებს ფულადი პრემიები მიეცეთ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე, ხოლო საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებს — მოგებისა და ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლექტივების, ფერმების, ბრიგადების, რგოლებისა და წარმოების მოწინავეების პრემირება სახელობითი საძახსოვრო საჩუქრებით მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე.

5. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სამინისტროებმა და უწყებებმა პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად დააწესეს ვიმპელები, დიპლომები და სამახსოვრო საჩუქრები წამყვანი პროფესიების მუშათა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საუკეთესო ბრიგადების (უბნების) და მათი წევრებისათვის, ფერმებისათვის, რგოლებისათვის, განყოფილებებისათვის.

6. შენარჩუნებულ იქნეს 1976 წლისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების ის წესი, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 9 იანვრის № 17 დადგენილებით.

7. საუკეთესო კოლექტივების, წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა მიღწევების პროპაგანდის გაძლიერებისა და ფართოდ გავრცელების მიზნით პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა შეიმუშაონ და განახორციელონ 1976 წელს საწარმოების, საამქროების, ბრიგადების, წამყვან პროფესიათა მუშების მოწინავე გამოცდილების შესწავლისა და დანერგვის კონკრეტული პროგრამა, განავითარონ და განამტკიცონ საწარმოო კოლექტივების თანამეგობრობა სამეცნიერო-კვლევით, საკონსტრუქტორო და საპროექტო ორგანიზაციებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან შრომის მოწინავე მეთოდების, მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევების გავრცელებისა და დანერგვისათვის.

8. რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საინფორმაციო სააგენტომ, საქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა:

— სისტემატურად გააშუქონ რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა, კონკრეტული მიჯნები, რომელთაც მიაღწევენ მოწინავე მუშები, ბრიგადები, საამქროები, საწარმოები, ქალაქები, ავტონომიური ოლქი, ავტონომიური რესპუბლიკები 1976 წლის განმავლობაში, შემხვედრი გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების კვარტალური და წლიური შედეგები;

— უფრო მკაფიოდ და ღრმად აჩვენონ სოციალისტური შეჯიბრების, როგორც თითოეული საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითი ნიჭის, მასების ინიციატივის განვითარებისა და სოციალისტური კოლექტივიზმის ფორმირების ქმედითი საშუალების, აღმზრდელობითი როლი; იბრძოლონ სოციალისტური შეჯიბრების საკითხებზე პრესის, რადიოსა და ტელევიზიის გამოსვლების ქმედითობის შემდგომი ამაღლებისათვის;

— განაგრძონ რესპუბლიკურ და ადგილობრივ გაზეთებში სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობისა და შედეგების ამსახველი სპეციალური გვერდების პუბლიკაცია.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ მოაწყოს სამინისტროებისა და მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგების საწარმოების მიხედვით, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მიხედვით სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების აღრიცხვა.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყოს სამინისტროების (უწყებების) და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების შეკვეთით სოციალისტური შეჯიბრების საკითხებზე პლაკატებისა და თვალსაჩინო აგიტაციის სხვა საშუალებების დამზადება მასობრივი ტირაჟით, აგრეთვე დარგების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიხედვით შეჯიბრებაში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად საპატიო სიგელების დამზადება.

11. ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდეს პრესაში.

* * *

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისა და 1976 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის გაშლილ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს მშრომელები მთელ თავიანთ ძალ-ღონესა და ცოდნას მოახმარენ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის რეზერვების უფრო სრულად გამოყენებას, და ღირსეულ წვლილს შეიტანენ მეათე ხუთწლედის დიდებული ამოცანების განხორციელებაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. კოლგინი.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**
საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**	საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. ფაჩუაშვილი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 3 თებერვალი, № 109

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუხანი 1

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 3 თებერვლის № 109 დადგენილების დანართი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშების, დიპლომებისა და ფულადი პრემიების განაწილება საქართველოს სსრ ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ავტონომიურ ოლქსა, ქალაქებსა, რაიონებსა, სამინისტროებსა და უწყებებს შორის (შრომითი კოლექტივებისათვის)

I. ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქების, საქალაქო რაიონებისა და სამრეწველო რაიონებისათვის — მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის დარგში, მომსახურების სფეროში და ა. შ.

ადმინისტრაციული დაყოფა	დროშების რაოდენობა
1. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქისათვის	1
2. რესპუბლიკის ქალაქებისათვის	7
3. ქალაქ თბილისის რაიონებისათვის	4
4. რესპუბლიკის სამრეწველო რაიონებისათვის	6
სამინისტროთა და უწყებათა კოლექტივებისათვის	
1. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	2
2. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო	1
3. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო	2
4. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო	2
5. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	3
6. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	2
7. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	2
8. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	2
9. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო	4
10. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	2
11. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო	1
12. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო	2
13. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო	3
14. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო	3
15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო	1
16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველო	1
17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგება-გასაღების მთავარი სამმართველო	1
18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი	1
19. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო	1
20. „ინკომშენის“ ტრესტი	1
21. საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველო	1
22. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველო	1
23. ცეკავშირი	3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადმინისტრაციული დაყოფა	დროშების რაოდენობა
24. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი	1
25. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი	1
26. საქართველოს სსრ საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციათა რესპუბლიკური გაერთიანება	1
27. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო (უმაღლესი სასწავლებლებისათვის — 2 და ტექნიკუმებისათვის — 1)	1
28. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო (საშუალო სკოლებისათვის)	1
29. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია (სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისათვის)	3
30. საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროებისა და სხვა ორგანიზაციების კოლექტივებისათვის — უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების დარგში სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის	4
	72
II. ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და შრომითი კოლექტივებისათვის — სოფლის მეურნეობის დარგში	
1. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქისათვის	1
2. რაიონებისათვის (საერთო მაჩვენებლების მიხედვით)	10
3. რაიონებისათვის (საკვების წარმოებისათვის)	1
4. რაიონებისათვის (სანაწვერალო კულტურების წარმოებისათვის)	1
5. სადაბო და სასოფლო საბჭოებისათვის	2
6. რაიონებისათვის —ბოსტნეულისა (2) და კარტოფილის (1) წარმოებისა და დამზადებისათვის	3
7. რაიონებისათვის: მეჩაიეობაში (2), მევენახეობაში (2), მეხილეობაში (2), მეცხოველეობაში (2), მეჭარხლეობაში (2)	10
8. კოლმეურნეობებისათვის (საერთო მაჩვენებლების მიხედვით)	20
9. საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებისათვის (საერთო მაჩვენებლების მიხედვით)	10
10. კოლმეურნეობებისათვის (საკვების წარმოებისათვის)	2
11. საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობებისათვის (საკვების წარმოებისათვის)	1
12. კოლმეურნეობებისათვის (ბოსტნეულის წარმოებისა და დამზადებისათვის)	2
13. საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის	2
14. კოლმეურნეობებისათვის (კარტოფილის წარმოებისა და დამზადებისათვის)	2
15. საბჭოთა მეურნეობებისათვის (კარტოფილის წარმოებისა და დამზადებისათვის)	1
16. „საქსოფლტექნიკის“ კოლექტივებისათვის	1
17. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს კოლექტივებისათვის	1
18. საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს კოლექტივებისათვის	1
19. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის კოლექტივებისათვის	1
	72

ეროვნული ბიბლიოთეკა

2 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დამატებითი გარდამავალი წითელი დროშების დაწესების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

დაწესდეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ორი დამატებითი გარდამავალი წითელი დროშა იმ საკავშირო საწარმოების დასაჯილდოებლად, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი სოციალისტურ შეჯიბრებაში.

შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 3 თებერვლის № 109 დადგენილებაში „წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, 1976 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**
საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**	საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჟ. შარტავა.**

ქ .თბილისი, 1976 წ.17 თებერვალი, № 136

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

დადგენილებები

3 საუკეთესო მეცნიერული ნამუშევრებისათვის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერებისათვის მედლებისა და პრემიების დაწესების შესახებ

მეცნიერულ გამოკვლევათა განხორციელებაში უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა აქტივობის შემდგომი გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წინადადება იმის შესახებ, რომ დაწესდეს მედლები და პრემიები უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერებისათვის საზოგადოებრივ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა დარგში საუკეთესო მეცნიერული ნამუშევრებისათვის.

2. დადგინდეს, რომ ამ დადგენილების შესაბამისად დაწესებულ მედლებსა და პრემიებს მიანიჭებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი ყოველწლიურად 3 მედალსა და პრემიას 150 მანეთის ოდენობით უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებს და 2 მედალსა და პრემიას 200 მანეთის ოდენობით ახალგაზრდა მეცნიერებს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა შეიმუშაოს და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცოს მედლების მინიჭების წესის დებულება, მედლების ნიმუშები და აღწერილობა (ამასთან მხედველობაში მიიღოს, რომ მედლები დამზადდება ძვირფასი ლითონების გამოუყენებლად) და განსაზღვროს მედლების მინიჭების თარიღები.

3. ამ დადგენილებით გათვალისწინებული პრემიების გაცემის ხარჯები გაღებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპრემიო ფონდიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 4 იანვარი, № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4 არასასოფლოსამეურნეო მიზნებისათვის გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაცვლად ახალი მიწების ათვისებისათვის საჭირო სახსრების ანაზღაურების ნორმებისა და აღნიშნული მიწების ათვისების წესის შესახებ

„სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწების გამოყოფისას მიწათმოსარგებლეთათვის ზარალისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგების ანაზღაურების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 9 აგვისტოს № 636 დადგენილების და ამ საკითხზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 19 სექტემბრის № 516 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები არასასოფლოსამეურნეო მიზნებისათვის გამოყოფილი მიწების ნაცვლად ახალი მიწების (სახნავის, ნასვენის, მრავალწლოვანი კულტურების, საკარმიდამო მიწების, სათიბების, საბალახო-საძოვრების, მინდორსაცავი ტყის ზოლების, ხელოვნურად გაშენებული ტყის კულტურების, სამეურნეო ეზოების) ათვისების ღირებულებას აანაზღაურებენ შემდეგი ოდენობით:

ერთი ჰექტარი სარწყავი მიწისათვის (სახნავი, ნასვენი) — 6820 მანეთი;

ერთი ჰექტარი დაშრობილი მიწისათვის — 7320 მანეთი;

ერთი ჰექტარი ურწყავი მიწისათვის (საკარმიდამო ნაკვეთების ჩათვლით) 3320 მანეთი;

ერთი ჰექტარი სათიბ-საძოვრისათვის — 2970 მანეთი.

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებსაც გამოეყოთ ფართობები მრავალწლოვანი ნარგავებისა და ხელოვნური ტყის ნარგავების გასაშენებლად არასასოფლოსამეურნეო საჭიროებისათვის, მრავალწლოვანი ნარგავების საბალანსო ღირებულებისა და ამ ნაკვეთებზე უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში წლიური მოსავლის საშუალო ღირებულების გარდა, დამატებით აანაზღაურებენ ახალი მიწების ათვისების ხარჯებს, სარწყავი, ურწყავი ან დაშრობილი მიწების კატეგორიების მიხედვით.

2. საწარმოებმა, დაწესებულებებმა, უწყებებმა და ორგანიზაციებმა, რომლებსაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულები არასასოფლოსამეურნეო მიზნებისათვის გამოეყოთ 1976 წლის 1 იანვრის შემდეგ, აუნაზღაურონ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ახალი მიწების ათვისების ხარჯები წარდგენილი ანგარიშების მიხედვით.

3. კატეგორიულად აეკრძალოთ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებსაც გამოეყოთ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები არასასოფლოსამეურნეო მიზნებისათვის, მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება მანამდე, სანამ ისინი არ აანაზღაურებენ მიწების გამოყოფასთან დაკავშირებულ ხარჯებს და არ გადაუხდიან მიწათმოსარგებლეს ზარალს, რომელიც მან განიცადა მოსავლიანი და მრავალწლოვანნარგავებიანი მიწის ნაკვეთის გამოყოფის შედეგად, და არ აუნაზღაურებენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობის სამინისტროს ახალი მიწების ათვისების ხარჯებს ამ დადგენილებით დამტკიცებული ნორმების მიხედვით.

4. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს ყოველწლიურად შეარჩიონ ასათვისებლად ვარგისი მიწის ფართობები მათი რაიონების ტერიტორიაზე არასასოფლოსამეურნეო მიზნებისათვის გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაცვლად და განაცხადები ამ მიწების ათვისების თაობაზე წარუდგინონ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანებას „საქსოფლტექნიკას“ ყოველწლიურად შეასრულოს არასასოფლოსამეურნეო მიზნებისათვის გამოყოფილი მიწების ნაცვლად ახალი მიწების ათვისების სამუშაოები საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს განაცხადების შესაბამისად გათვალისწინებული მოცულობით.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველი წლის 1 მარტისათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ანგარიში არასასოფლოსამეურნეო მიზნებისათვის გამოყოფილი მიწების ნაცვლად ახალი მიწების ათვისების შესახებ.

7. ამ დადგენლების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 9 მარტის № 130 დადგენილება „არასასოფლოსამეურნეო დანიშნულებისათვის გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაცვლად ახალი მიწების ათვისებისა და ხარჯების ანაზღაურების ნორმების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წლის 4 იანვარი, № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

5 სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების სარევიზიო აპარატის საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ[1])

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა გარკვეული მუშაობა განახორციელეს „რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 18 ივნისის № 361 დადგენილების შესასრულებლად.

თითქმის ყველა სამინისტროსა და უწყებაში საკონტროლო-სარევიზიო სამსახურები გამოყოფილია დამოუკიდებელ ქვედანაყოფებად, რომლებიც ექვემდებარებიან უშუალოდ მინისტრებსა და უწყებათა ხელმძღვანელებს. მთელ რიგ სამინისტროებსა და უწყებებში საკონტროლო-სარევიზიო აპარატი ცენტრალიზებულია, განხორციელდა მუშაკთა ატესტაცია, მეტი ყურადღება ეთმობა კომპლექსური რევიზიების ჩატარებას, მათი შედეგების მიხედვით გადაწყვეტილებათა დროულად მიღებას.

ამასთანავე, საუწყებო, საკონტროლო-სარევიზიო აპარატის მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს არსებითს ნაკლოვანებებს და აღნიშნული დადგენილების მთელი რიგი მოთხოვნები შეუსრულებელი რჩება.

მთლიანად არ სრულდება აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 16 ოქტომბრის № 537 დადგენილებით დამტკიცებული „დებულება საუწყებო კონტროლის შესახებ.“

საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და ზოგიერთი სხვა უწყების საბიუჯეტო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიების ჩატარების დამკვიდრებული პრაქტიკა. აღნიშნული სამინისტროები რესპუბლიკური დაქვემდებარების მხოლოდ ზოგიერთ ორგანიზაციაში ატარებენ რევიზიებს, ხოლო მათს საქვეუწყებო საბიუჯეტო ორგანიზაციებს რაიონებსა და ქალაქებში რევიზიას უწევს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო. რევიზიების ორგანიზაციასა და ჩატარებაში ასეთი ორმაგობა, აგრეთვე რევიზორთა კადრების შერჩევასა და განაწილებაში არსებული ნაკლოვანებანი ამცირებენ სარევიზორო მუშაობის ეფექტიანობასა და შედეგიანობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაეკისროს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს რევიზიების ჩატარება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინის-

[1]) დანართები არ იბეჭდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

რევიზიები ჩატარდეს კომპლექსურად შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების სპეციალისტთა მონაწილეობით.

გადაწყვეტილებებს რესპუბლიკური დაქვემდებარების ორგანიზაციების რევიზიათა და შემოწმებათა მასალების მიხედვით საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო მიიღებს ზემოაღნიშნული სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

გადაწყვეტილებებს ადგილობრივი ორგანიზაციების რევიზიათა მასალების მიხედვით მიიღებენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები.

2. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა გადასცენ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო აპარატი 1976 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, № 1 დანართის თანახმად.

3. განხორციელდეს აღნიშნულ სამინისტროებსა და უწყებებში 1976 წელს მმართველობის აპარატის შენახვის ხარჯთაღრიცხვებისა და სამივლინებო ხარჯების ლიმიტების შესაბამისი ცვლილებანი, № 2 დანართის თანახმად.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს, საქართველოს სსრ განათლების მინისტრს, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრს, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს განუწყვეტლივ სრულყონ და აამაღლონ საქვეუწყებო ორგანიზაციების საქმიანობისადმი წინასწარი კონტროლის დონე, რაც საგეგმო-საფინანსო და იურიდიული სამსახურების და ბუღალტერიების მეშვეობით ხორციელდება. ამ მიზნით უზრუნველყონ საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობის ძირეული გაუმჯობესება, ხარჯთაღრიცხვების დროულად განხილვა და მათი გაანგარიშების საფუძვლიანობა, კრედიტების გახსნის დადგენილი წესის ზუსტი დაცვა, მუშაკთა ტარიფიკაციის ყოველწლიურად ჩატარება, ოპერატიული და ქმედითი კონტროლი საშტატო-სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დაცვისადმი, სახელმწიფო სახსრების ეკონომიის მკაცრი რეჟიმისა და მიზნობრივი ხარჯვის განხორციელება.

5. დაეკისროთ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს დროულად და სრულად უზრუნველყოფა საუწყებო ნორმატიული დოკუმენტებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრს:

— სისტემატურად სრულყოს საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის ფორმები და მეთოდები, ამასთან გააუმჯობესოს დაწესებულებებისა და ორგანიზაციების რევიზიათა ხარისხი;

— მოახდინოს გადაცემულ რევიზორთა ატესტაცია 1976 წლის პირველი კვარტალის განმავლობაში და მისი შედეგების მიხედვით შეცვალოს პირები, რომლებიც არ უპასუხებენ რევიზორთა კადრებისათვის წაყენებულ მოთხოვნებს;

— მიიღოს ზომები ახლად მიღებულ რევიზორთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

— უზრუნველყოს საბიუჯეტო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა რევიზიების უთუოდ ჩატარება ორ წელიწადში ერთხელ მაინც და სამეურნეოანგარიშიანი ორგანიზაციებისა — ყოველწლიურად.

7. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს გაზარდოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს რევიზორთა შტატი 8 ერთეულით რესპუბლიკისათვის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ხაზით დამტკიცებული რიცხოვნობისა და ზღვრულ ასიგნებათა ხარჯზე.

8. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან ერთად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის წინანდელ გადაწყვეტილებათა შეცვლის შესახებ.

9. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს განახორციელონ ანალოგიური ორგანიზაციულ-სტრუქტურული ცვლილებანი ამ დადგენილების შესაბამისად.

10. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ 1976 წლის აპრილში მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, ხოლო 1977 წლის მარტში — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო აპარატის 1976 წლის მუშაობის შედეგების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წლის 10 იანვარი № 18

ეროვნული ბიბლიოთეკა

6 ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის სამუშაოთა ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

ნიადაგების ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაოთა შემდგომი გაუმჯობესების მიზნით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 13 ოქტომბრის № 884 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 13 ოქტომბრის № 884 დადგენილებით 1976-1980 წლებისათვის დაწესებული ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის სამუშაოთა მოცულობის განაწილება საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით, დანართის თანახმად.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“ და რესპუბლიკის სხვა დაინტერესებულმა სამინისტროებმა და უწყებებმა, ადგილობრივმა საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო, წყალთა მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებმა და ორგანიზაციებმა გააძლიერონ ყურადღება ნიადაგების ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებისადმი, ამასთან უზრუნველყონ ეროზიულ მიწებზე ორგანიზაციულ-სამეურნეო, აგროტექნიკურ, სატყეო-სამელიორაციო და ჰიდროტექნიკურ ეროზიასაწინააღმდეგო და ღვარცოფსაწინააღმდეგო ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება.

3. დაწესდეს, რომ ყველა მიწათმოსარგებლის მიწებზე (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა) ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის ღონისძიებათა პროექტები (სქემები) შეუთანხმდება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათმოწყობის სამსახურს, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს მიწების გამოყენებისადმი, და დამტკიცდება დადგენილი წესით.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა გააძლიერონ ზედამხედველობა საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა) ნიადაგების ეროზიისაგან დაცვის ღონისძიებათა პროექტების რეალიზაციისადმი, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა სრული კომპლექსის შესრულების უზრუნველყოფას მთელი წყალშემკრების საზღვრებში ან წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის გამოვლინების რაიონებში.

4. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა რკინიგზების, საავტომობილო გზების, მაგისტრალური მილსადენებისა და სხვა ნაგებობების მშენებლობისას, აგრეთვე გეოლოგიურ-საზვერი, გადასახსნელი და ნიადაგის საფარის დარღვევასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოების შესრულებისას უზრუნველყონ ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის ყველა საჭირო ღონისძიების დროულად დაპროექტება და განხორციელება.

5. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილებამ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ დააჩქარონ ეროზიის საწინააღმდეგო ახალ პროგრესულ ღონისძიებათა შემუშავება და უზრუნველყონ მათი ფართოდ დანერგვა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

6. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სატყეო მეურნეობების მიერ საჭირო ღონისძიებათა განხორციელება, რათა გაძლიერდეს დაცვითი ტყის ნარგავების დაცვა პირუტყვის ძოვებისაგან, მტვრევისაგან, დაზიანებისაგან მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების გამოყენებისას, აგრეთვე ამ ნარგავების მოვლა.

7. დაწესდეს, რომ ეროზიის საწინააღმდეგო მშენებლობადამთავრებული ჰიდროტექნიკური ნაგებობანი და ტერასები უსასყიდლოდ გადაეცემათ გამართულ მდგომარეობაში კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა დაინტერესებულ საწარმო-ორგანიზაციებს.

სამეურნეობათაშორისო მნიშვნელობის ეროზიის საწინააღმდეგო ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, აგრეთვე ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობანი გადაეცემა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემის წყალსამეურნეო საექსპლუატაციო ორგანიზაციების ბალანსზე, ხოლო რაიონებში, სადაც არ არის ასეთი ორგანიზაციები, — სხვა სახელმწიფო ორგანიზაციების ბალანსზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსაზღვრით.

8. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ „ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის სამუშაოთა ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 13 ოქტომბრის № 884 დადგენილებით დაევალათ:

— სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს — შეიმუშაონ და სსრ კავშირის სახმშენთან შეთანხმებით დაამტკიცონ დებულება საპროექტო ორგანიზაციების — ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის ღონისძიებათა პროექტების (სქემების) გენერალური დამპროექტებლების შესახებ;

— სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს — უზრუნველყოს 1976-1980 წლებში ქარისმიერი და წყლისმიერი ერო-

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზიისაგან ნიადაგების დაცვის სამუშაოთა განსახორციელებლად მანქანა-იარაღების სერიული წარმოება სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსური მექანიზაციისათვის მანქანათა დამტკიცებული სისტემის შესაბამისად იმ ოდენობით, რაც საჭიროა სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად;

— სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტსა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით შეიმუშაონ და დაამტკიცონ 1976 წელს ეროზიის საწინააღმდეგო მშენებლობადამთავრებული ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა და ტერასების გადაცემის წესი და მათი ექსპლუატაციის, რემონტისა და დაცვის წესი.

9. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ „ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებისა და მიწების ძირეული გაუმჯობესების სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 2 სექტემბრის № 562 დადგენილებით გათვალისწინებულია ნიადაგების ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაოთა გაუმჯობესება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წლის 12 იანვარი № 22

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1976 წლის 12 იანვრის № 22
დადგენილების დანართი

მ ო ც უ ლ ო ბ ა

1976-1980 წლებში ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის სამუშაოებისა საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა მიხედვით

სამინისტროთა და უწყებათა დასახელება	მინდორსაცავ ტყის ზოლების შექმნა (ათასი ჰექტარი)	ხევების, ხრამების, ტყეების, მდინარეთა ნაპირებისა და სხვა მოუხერხებელი მიწების გამაგრება და მოტყვევება (ათასი ჰექტარი)	ფერდობების დატერასება (ათასი ჰექტარი)	ეროზიის საწინააღმდეგო ჰიდროტექნიკურ და ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობათა აშენებლობა (მილიონი მანეთი)
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო	0.8	—	3,0	—
საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო . .	—	—	—	39 4
საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო	0,2	—	0,20	—
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი	—	12,0	—	—
ს უ ლ	1,0	12,0	3,2	39,4

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

7 რაიონულ ბიუჯეტებში მიზნობრივი საბიუჯეტო რეზერვების წარმოქმნის წესის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გაუქმდეს სოფლის სკოლების მასწავლებლების, მედიცინის მუშაკებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისათვის ხელფასის მისაცემად რაიონულ ბიუჯეტებში მიზნობრივი საბიუჯეტო რეზერვების წარმოქმნის წესი.

2. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს:

— დააწესონ სისტემატური კონტროლი სკოლების მასწავლებლებისა და საბიუჯეტო დაწესებულებათა სხვა მუშაკებისათვის ხელფასის დროულად მიცემისადმი, ამასთან მკაცრად დასაჯონ პირები, რომლებიც დაუშვებენ ხელფასის გაცემის დაწესებული ვადების დარღვევას;

— განსაზღვრონ ყოველი ცალკეული ბიუჯეტის მიხედვით საბრუნავი საკასო სახსრების ის ოდენობა, რაც უზრუნველყოფს მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი სასოფლო საბჭოს ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების მუშაკთათვის ხელფასის დროულად მიცემას.

3. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 23 მაისის № 636 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1976 წლის 12 იანვარი, № 26

ეროვნული ბიბლიოთეკა

8 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 10 ოქტომბრის № 558 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს დებულების მე-6 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შეცვლის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს მთლიანად გადაეცა მშენებარე ობიექტების დაფინანსების ფუნქციები, იმ შემკვეთის მიწოდების მოწყობილობისა და მასალების შესაძენი სახსრების ჩათვლით, რომლისთვისაც იგი წარუდგენს განაცხად-გაანგარიშებას საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და მთავარმომარაგებას და ახორციელებს გამოყოფილი ფონდების ათვისებას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ჩამოყალიბდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 10 ოქტომბრის № 558 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს დებულების მე-6 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ო) არის შემკვეთის მიწოდების მოწყობილობისა და მასალების ფონდმფლობელი, სასკოლო ინვენტარისა და სასწავლო კაბინეტების მოწყობილობის გარდა, წარუდგენს მათი მოთხოვნილების განაცხად-გაანგარიშებას საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ მთავარმომარაგებას და მოახდენს გამოყოფილი ფონდების რეალიზაციას“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 15 იანვარი № 38

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

9 გადიდების მიზნით მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადასინჯვისა და მშენებლობის ხანგრძლივობის ვადების გაჭიანურების ფაქტების შემოწმების შედეგების შესახებ

(ამონაკრები)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრებსა და უწყებათა ხელმძღვანელებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს და საპროექტო ორგანიზაციათა დირექტორებს:

— განიხილონ იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც დაუშვეს კაპიტალურ მშენებლობაში სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დარღვევები, დასაჯონ ისინი და შედეგები ერთი თვის ვადაში მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

— შემდგომში ობიექტების მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დაუსაბუთებელი გადიდების შემთხვევების ლიკვიდაციის მიზნით აკრძალონ ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავება იმ ობიექტებისათვის, რომელთა მშენებლობა გარანტირებული არ არის უახლოეს ორ წელიწადში და შეიძლება საჭირო გახდეს ტექნოლოგიის ან პროექტით გათვალისწინებული მოწყობილობის უფრო ძვირადღირებული მოწყობილობით შეცვლა;

— გადასინჯონ მოძველებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და აიყვანონ იგი „საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 4 ივლისის № 405 დადგენილებისა და „მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების შემცირების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 29 აგვისტოს № 462 დადგენილების მოთხოვნების შესაბამის დონემდე.

2. დაწესდეს, რომ იმ შემთხვევაში, როცა მშენებლობის ღირებულება გაიზრდება თავდაპირველად დამტკიცებულთან შედარებით და შესაბამისად არ გაუმჯობესდება ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და არ გადიდდება სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოო სიმძლავრეები, საპროექტო ორგანიზაციათა მუშაკებსა და შემკვეთებს, რომელთაც დანაშაული მიუძღვით მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების არასწორად განსაზღვრაში, არ მიეცემათ არავითარი პრემია.

3. საპროექტო ორგანიზაციათა დირექტორებმა უზრუნველყონ დაპროექტება მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა მაქსიმალური გათვალისწინების საფუძველზე, იმ ვარაუდით, რომ მშენებარე და სარეკონსტრუქციო საწარმოები და ობიექტები მათი საექსპლუატაციოდ გადაცემის დროისათვის იყვნენ ტექნიკურად მოძინავენი და ჰქონდეთ მაღალი მაჩვენებლები.

4. საქართველოს სსრ სახმშენმა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა საწარმოთა და შენობა-ნაგებობათა ისეთი მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების შეთანხმების პროცესში, რომლის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები უარესდება, განიხილონ სახარჯთაღრიცხვო ღირებულების აღნიშნული გადიდებისათვის დამნაშავე პირთა პასუხისმგებლობის საკითხი და შემოიტანონ წინადადებანი მათი დასჯის ზომების შესახებ.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა:

— კაპიტალურ დაბანდებათა წლიური გეგმების შემუშავებისას, თითოეული მშენებლობისა და ობიექტის მიხედვით მათი მოცულობის განსაზღვრისას ზუსტად დაიცვან მშენებლობის მთელი პერიოდისათვის დამტკიცებული მაჩვენებლები მისი ხანგრძლივობის ნორმატიული ვადების შესაბამისად;

— განახორციელონ ყველა ღონისძიება, რათა უკვე 1978 წლის ბოლოსათვის დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა დაყვანილ იქნეს ნორმატივამდე (სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური მოცულობის 60 პროცენტამდე);

— არ დაუშვან კაპიტალურ დაბანდებათა წლიურ გეგმებში მშენებლობის საანგარიშო ღირებულების საფუძველზე ახლად დასაწყები ობიექტების შეტანა, ხოლო გარდამავალი მშენებლობებისა — მოძველებული პროექტების და ხარჯთაღრიცხვების საფუძველზე;

— შეიტანონ კაპიტალური მშენებლობის გეგმებში მხოლოდ ის ობიექტები და მშენებლობები, რომელთა ტექნოლოგიური მოწყობილობითა და სპეციალური მასალებით უზრუნველყოფის საკითხები გადაწყვეტილია.

6. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა:

— არ დაუშვან კაპიტალური მშენებლობის ხაზით ტექნიკური დოკუმენტაციის დამტკიცება, თუ იგი წინასწარ შეთანხმებული არ არის საიჯარო ორგანიზაციასთან;

— სისტემატურად განიხილონ საკითხები ობიექტების მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრაში დაშვებული ხარვეზების, მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტაბილურობის უზრუნველყოფის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის ამაღლების და მეათე ხუთწლედში დადგენილი წესით დამტკიცებული პროექტების გარეშე მშენებლობის შეწყვეტის შესახებ.

7. სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კახტორებმა გააძლიერონ კონტროლი კაპიტალურ მშენებლობაში სახარჯთაღრიცხვო დისციპლინისა და მშენებლობის ხანგრძლივობის ვადების დაცვისადმი.

8. აეკრძალოთ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ სამუშაოებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, დადგენილი წესით დამტკიცებული ტექნიკური დოკუმენტაციის არსებობისას შეათანხმონ იმ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობანი, რომლებიც არ უზრუნველყოფენ მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმატიული ვადების დაცვას.

9. საქართველოს სსრ სახმშენმა:

— გააძლიეროს ობიექტების მშენებლობის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზის მოთხოვნები და საექსპერტო ორგანოების პასუხისმგებლობა მშენებლობის ღირებულების გადიდებისას სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გადასინჯვისათვის;

— გააძლიეროს მეთოდიკური ხელმძღვანელობა საწარმოთა და შენობა-ნაგებობათა მშენებლობის (რეკონსტრუქციის) იმ პროდუქტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზის ორგანოთა მუშაობისათვის, რომელთაც ამტკიცებენ რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, გააფართოოს შერჩევითი კონტროლი პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ხარისხისადმი;

— განაგრძოს მუშაობა მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადიდების მიზეზების გასაანალიზებლად და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 28 იანვარი, № 78

ეროვნული ბიბლიოთეკა

10 „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში აღრიცხვა-ანგარიშგების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ოქტომბრის № 623 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობა განხორციელდა საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის.

ძირითადად დამთავრდა საბუღალტრო აღრიცხვის ცენტრალიზაცია, რომლის დონემ საბიუჯეტო დაწესებულებებში შეადგინა 98,2 პროცენტი, ხოლო საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში — 97,4 პროცენტი. ამასთანავე საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტისა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მიერ ჩატარებული შემოწმებები ცხადყოფენ, რომ ამ საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

დაუშვებლად აჭიანურებენ თავიანთი სისტემის საწარმო-ორგანიზაციებისათვის ცენტრალიზებული ბუღალტერიების შექმნას საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები.

ნელა ინერგება საბუღალტრო აღრიცხვის პროგრესული ფორმები და მეთოდები. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მუშაობა პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯების აღრიცხვისა და მისი თვითღირებულების კალკულაციის ნორმატიული მეთოდის დანერგვისათვის, რომელიც 1976 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დანერგილია რესპუბლიკის მხოლოდ 27 საწარმოში, ხოლო საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროსა და ზოგიერთ სხვას ეს მეთოდი არც ერთ საწარმოში არა აქვთ დანერგილი.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო და სხვა სამინისტროები და უწყებები ჯერ კიდევ არ ახორციელებენ სათანადო ღონისძიებებს საქვეუწყებო საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუღალტრო აღრიცხვის სრულყოფისათვის, არ უწევენ მათ მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ დახმარებას და მწვავე პრინციპულ შეფასებას არ აძლევენ ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს.

სისტემატურად არღვევენ საბუღალტრო ანგარიშების წარდგენის ვადებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო და სხვ.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროში, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროში, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროში, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტში და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტში მთავარი ბუღალტრები შეყვანილი არ არიან კოლეგიების შემადგენლობაში, ხოლო ცენტრალური აპარატის შტატში შეტანილი არ არის მეთოდისტ-ბუღალტრის თანამდებობა. ეს თანამდებობა შემოღებული არ არის აგრეთვე საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროში, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროში, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროში.

რესპუბლიკის ცენტრალიზებულ ბუღალტერიებში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება საღრიცხვო-გამოთვლით სამუშაოთა მექანიზაცია. 706 ცენტრალიზებული ბუღალტერიიდან მექანიზებულია მათი საერთო რაოდენობის 50 პროცენტზე ნაკლები. ამასთან ძირითადად მექანიზებულია ხელფასის ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული სამუშაოები, მაშინ როცა უწინდებურად მექანიზებული არ არის ისეთი შრომატევადი სამუშაოები, როგორიცაა შვებულებების, შრომისუუნარობის ფურცლების ანგარიშსწორება და სხვ.

აღრიცხვის მექანიზაცია დანერგილი არ არის ისეთ შსხვილ ობიექტებში, როგორიცაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო, თბილისის პირველი საქალაქო კლინიკური საავადმყოფო და სხვ.

დღემდე არ სრულდება რესპუბლიკის 17 რაიონში ზემოაღნიშნული დადგენილების ის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს მანქანათსაანგარიშო სადგურების შექმნას და მათ აღჭურვას გამოსათვლელი მანქანებით; მოწყობილი არ არის ინფორმაციის დისტანციური გადაცემა, ხოლო კომპლექსური მექანიზაცია დანერგილია რესპუბლიკის მხოლოდ 8 საწარმოში.

ჭიანურდება საბუღალტრო აღრიცხვის სანიმუშო კომპლექსური მექანიზაციის განხორციელება ქ. თბილისის ცენტრალიზებულ ბუღალტერიებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების გამოცემის დღიდან ორ წელიწადზე მეტი გავიდა, აბაშის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს დღემდე არ განუხილავს იგი, ხოლო საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა, გურჯაანისა და თიანეთის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა იგი მხოლოდ ორ წელიწადზე მეტი ხნის შემდეგ განიხილეს.

დადგენილება არ შეუსრულებიათ ქ. თბილისისა და სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, რომლებსაც წინადადება მიეცათ გამოეყოთ შესაბამისი სადგომები ცენტრალიზებული ბუღალტერიებისათვის.

ზოგიერთი სამინისტრო და უწყება ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ უთმობს ბუღალტერთა კადრების შენარჩუნებასა და აღზრდას, არ ზრუნავს მათი საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, არ იყენებს მათი მორალური და მატერიალური წახალისების ყველა შესაძლებლობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა ერთი თვის ვადაში განიხილონ საქვეუწყებო საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში საბუღალტრო აღრიცხვის მდგომარეობის საკითხი და მიიღონ საჭირო ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას და აღრიცხვა-ანგარიშგების მოწესრიგებას. ამ მიზნით:

— შეიმუშაონ და განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი, რათა საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში გაუმჯობესდეს საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაცია საანგარიშო-გამოთვლით სამუშაოთა შემდგომი ცენტრალიზაციისა და მექანიზაციის, აღრიცხვის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების ფართოდ დანერგვის საფუძველზე;

— გააუმჯობესონ მოქმედი ცენტრალიზებული ბუღალტერიების მუშაობა; უზრუნველყონ ისინი შესაბამისი სადგომებით, მექანიზაციის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებებით; გაავრცელონ საუკეთესო ცენტრალიზებული ბუღალტერიების მუშაობის გამოცდილება;

— სისტემატურად განახორციელონ საქვეუწყებო საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ბუღალტერიების საქმიანობის შემოწმება; გაუწიონ მათ პრაქტიკული დახმარება ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და საბუღალტრო აღრიცხვის სრულყოფის საქმეში; გააძლიერონ მეთოდიკური ხელმძღვანელობა ამ მუშაობისადმი;

— განამტკიცონ საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა ბუღალტერიები და ცენტრალიზებული ბუღალტერიები კვალიფიციური სპეციალისტებით, რომლებსაც შესწევთ უნარი უზრუნველყონ აღრიცხვის სწორად დაყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნება და უტყუარობა, ფულადი სახსრებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დაცვა-შენახვისადმი ქმედითი კონტროლის ორგანიზაცია;

— გააძლიერონ მომთხოვნელობა საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისადმი და აამაღლონ მათი პასუხისმგებლობა აღრიცხვა-ანგარიშგების მდგომარეობისათვის. სამეურნეო საქმიანობის შედეგების მიხედვით პრემირების საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში მიიღონ აგრეთვე აღრიცხვა-ანგარიშგების დაყენების ხარისხი.

2. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრომ, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა დაამთავრონ 1976 წლის 1 ივლისამდე ცენტრალიზებული ბუღალტერიების შექმნა.

3. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ ერთი თვის ვადაში განიხილონ კოლეგიათა სხდომებზე და დაამტკიცონ კონკრეტული ღონისძიებანი საქვეუწყებო სამრეწველო საწარმოებსა და სამშენებლო ორგანიზაციებში პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯების აღრიცხვისა და მისი თვითღირებულების კალკულაციის ნორმატიული მეთოდის დასანერგავად; დაამტკიცონ იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა ნუსხა, რომელშიც აუცილებელია ამ მეთოდის გამოყენება.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს დაამთავროს 1976 წელს მანქანათსაანგარიშო სადგურების შექმნა რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში; გააფართოოს საღრიცხვო-გამოთვლით სამუშაოთა თემატიკა, მიიღოს საჭირო ზომები რესპუბლიკის მსხვილი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ცენტრალიზებულ ბუღალტერიათა სრული მექანიზაციისათვის და ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

5. დაევალოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს აღრიცხვის მექანიზაციისა და გამოთვლით სამუშაოთა სრულიად საკავშირო სახელმწიფო საპროექტო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის საქართველოს ფილიალს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზრუნველყონ 1976 წელს საბუღალტრო აღრიცხვის კომპლექსური მექანიზაციის დანერგვა ქ. თბილისის საბიუჯეტო დაწესებულებათა ცენტრალიზებულ ბუღალტერიებში.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, რომლებსაც აქვთ საანგარიშო დარგის მუშაკთა მოსამზადებელი სასწავლებლები, განიხილონ საკითხი იმის შესახებ, რომ 1977 წლის 1 სექტემბრიდან გაღიდდეს საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობით დღის და დაუსწრებელ განყოფილებებზე კონტინგენტის მიღების გეგმა საჭირო რაოდენობის კვალიფიციურ ბუღალტერთა კადრებით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფის გათვალისწინებით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ განიხილონ და გადაჭრან მიმდინარე წლის 1 აპრილამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის მოსამზადებელ განყოფილებაზე, აგრეთვე დაუსწრებელ განყოფილებაზე საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობით კონტინგენტის მიღების გეგმების გადიდების საკითხი.

განიხილონ უმაღლესი სასწავლებლების მოსამზადებელ განყოფილებებთან იმ პირთათვის საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობის ჯგუფების გახსნის მიზანშეწონილობის საკითხი, რომლებსაც დამთავრებული საშუალო განათლება აქვთ.

7. ნება ღაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, მოყოლებული 1976/77 სასწავლო წლიდან, შემოიღოს ქ. თბილისისა და ქუთაისის ერთ-ერთ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში სწავლება საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობით რუსულ და ქართულ ჯგუფებში.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ განიხილოს და გადაჭრას საკითხი იმის შესახებ, რომ მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მიზნით შემოღებულ იქნეს 1976 წლის 1 სექტემბრიდან ორ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, მოყოლებული მე-7 კლასიდან, საბუღალტრო აღრიცხვის საგნის სწავლება შესაბამისი კლასების სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული ფაკულტატიური საათების ფარგლებში.

9. შეიქმნას 1976 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ბუღალტერთა და კონტროლიორ-რევიზორთა გადასამზადებელ კურსებთან სამეურნეო ანგარიშის პირობებით ბუღალტერთა მოსამზადებელი ცხრათვიანი 50-ადგილიანი საბუღალტრო კურსები საშუალო განათლების მქონე პირთათვის.

ამ მიზნით გადიდდეს მიმდინარე წელს აღნიშნული კურსების მუშაკთა რიცხოვნობა და ხელფასის ფონდის ლიმიტი.

ეროვ. ბიბ. მარქსის სახ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთხოვოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს გაუდიდოს თბილისის საფინანსო-ეკონომიკურ ტექნიკუმს საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობით მოსწავლეთა მიღების გეგმა იმ ვარაუდით, რომ შეიქმნას 25-25-კაციანი რუსული და ქართული ჯგუფები, და ამავე დროს, როგორც გამონაკლისი, სწავლების ვადა გაგრძელდეს 6 თვით.

10. ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს განიხილოს საკითხი, რათა „საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტრის" საპატიო წოდების დაწესების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 9 იანვრის ბრძანებულებას დაემატოს პუნქტი, რომელიც გაითვალისწინებს პერსონალური პენსიის დანიშვნას მაღალკვალიფიციური ბუღალტრებისათვის, რომლებმაც საპენსიო ასაკს მიაღწიეს და უზრუნველყოფენ აღრიცხვა-ანგარიშგების ჯეროვან დაყენებას, აგრეთვე სოციალისტური საკუთრების დაცვას.

11. მოსმენილ იქნეს 1976 წლის მეორე ნახევარში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრის, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრის, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ინფორმაციები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ოქტომბრის № 623 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

12. საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ დააწესონ მკაცრი კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი და 1977 წლის მეორე კვარტალში მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისი შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 30 იანვარი № 82

ეროვნული ბიბლიოთეკა

11 საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეანობისა და გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის სახელის გადარქმევის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და მისი სამეცნიერო-სამედიცინო საბჭოს შუამდგომლობა და კვლევის მიმართულებათა გაფართოებასთან დაკავშირებით, აგრეთვე პერინატალური მედიცინის დარგში მეანობისა და გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ შეძენილი გამოცდილების გათვალისწინებით, ამ ინსტიტუტს დაერქვას საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პერინატალური მედიცინის, მეანობისა და გინეკოლოგიის ინსტიტუტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1976 წ. 2 თებერვალი, № 85

12 საყოველთაო სწავლების ფონდის შექმნისა და ხარჯვის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო განათლების კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საყოველთაო სწავლების ფონდის შექმნისა და ხარჯვის შესახებ და იგი სამოქმედოდ იქნეს შემოღებული 1976 წლის 1 აპრილიდან.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 20 ოქტომბრის № 826 დადგენილება „საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდის სახსრების შექმნისა და ხარჯვის წესის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 16 თებერვალი, № 112

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1976 წლის 16 თებერვლის № 112
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საყოველთაო სწავლების ფონდის შექმნისა და ხარჯვის შესახებ

1. საქართველოს სსრ სახალხო განათლების კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად საყოველთაო სწავლების ფონდი შეიქმნება დაწყებითს, რვაწლიან და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან I-X კლასების მოსწავლეებისათვის მატერიალური დახმარების აღმოსაჩენად.

2. საყოველთაო სწავლების ფონდი შეიქმნება:

ა) ბიუჯეტის სახსრებით, სკოლების მიმდინარე შენახვისათვის გათვალისწინებული ხარჯებიდან სულ მცირე ერთი პროცენტის გამოყოფით;

ბ) კოლმეურნეობების თანხებით, რომლებსაც ისინი გამოყოფენ დადგენილი წესით კოლმეურნეობების შესაბამისი ფონდებიდან;

გ) კოოპერაციული და პროფკავშირული ორგანიზაციებისაგან მიღებული თანხებით.

გარდა ამისა, საყოველთაო სწავლების ფონდში შეიძლება გამოიყოს იმ თანხების ნაწილი, რასაც სკოლები იღებენ ფასიანი კონცერტებისა და საღამოების, ლითონჯართის შეგროვების, სასკოლო სასწავლო-საცდელი ნაკვეთების, დამხმარე მეურნეობებისა და სასკოლო სახელოსნოების შემოსავლიდან.

3. საყოველთაო სწავლების ფონდის სახსრები, რომლებიც რესპუბლიკური ბიუჯეტით არის ასიგნებული და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) საბჭოების ბიუჯეტით არის გათვალისწინებული, მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ იმ მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ.

რაიონული და საქალაქო ბიუჯეტით გათვალისწინებული საყოველთაო სწავლების ფონდის სახსრები რაიონული და საქალაქო საფინანსო განყოფილების მიერ კვარტალში ერთხელ გადაირიცხება სათანადო რაიონული (საქალაქო) სახალხო განათლების განყოფილების მიმდინარე ანგარიშზე დაქვემდებარებული დაწესებულებებისათვის მისაცემად.

ამავე ანგარიშზე შეიტანება კოლმეურნეობების, კოოპერაციული და პროფკავშირული ორგანიზაციების მიერ საყოველთაო სწავლების ფონდისათვის გამოყოფილი სახსრები.

სკოლის ან მშრომელთა შუამდგომლობის საფუძველზე პროფკავშირული ორგანიზაციები უშუალოდ გაუწევენ დახმარებას მოსწავლეებს, რომლებიც ამას საჭიროებენ, იმ შემთხვევაში, თუ არა აქვთ საშუალება საყოველთაო სწავლების ფონდის სახსრები ჩარიცხონ სახალხო განათლების ორგანოების ანგარიშზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლებისათვის გამოყოფილი საყოველთაო სწავლების ფონდის სახსრები ირიცხება მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო ან საქალაქო საბჭოს შესაბამისი აღმასრულებელი კომიტეტის ბიუჯეტგარეშე სახსრების მიმდინარე ანგარიშზე.

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ბიუჯეტგარეშე სახსრების მიმდინარე ანგარიშზე შეიძლება აგრეთვე შეტანილ იქნეს საყოველთაო სწავლების ფონდში უშუალოდ შესატანი სახსრები სხვა წყაროებიდან (კოლმეურნეობები, კოოპერაციული და პროფკავშირული ორგანიზაციები).

სახალხო განათლების ორგანოებისა და მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სპეციალურ მიმდინარე ანგარიშზე წლის ბოლოს დარჩენილი საყოველთაო სწავლების ფონდის სახსრები წლის ბოლოს არ დაიხურება და გადადის შემდეგი წლისათვის.

4. საყოველთაო სწავლების ფონდის სახსრებიდან მოსწავლეებს დახმარება მიეცემათ სპეციალური კომისიის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, ეს კომისია შეიქმნება სკოლის, კოლმეურნეობის, კოოპერაციული და პროფკავშირული ორგანიზაციების, აგრეთვე მშობელთა კომიტეტის წარმომადგენლებისაგან 3-5 წევრის შემადგენლობით.

მატერიალური დახმარების მიცემის შესახებ კომისიის გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა შეუძლია მხოლოდ ამ კომისიას.

5. საყოველთაო სწავლების ფონდის სახსრებიდან მოსწავლეებს მატერიალური დახმარება ეძლევათ ნატურით—ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სახელმძღვანელოები, სკოლაში კვების ღირებულების გადახდა და სხვა, სანატორიუმებსა და პიონერთა ბანაკებში საგზურების შეძენა.

6. საყოველთაო სწავლების ფონდის სახსრების ხარჯთაღრიცხვის შედგენა ხდება საბიუჯეტო დაწესებულებების სპეციალური სახსრებისათვის დადგენილი წესით.

7. საყოველთაო სწავლების ფონდის სახსრების სწორად ხარჯვაზე კონტროლს ახორციელებენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, მშობელთა კომიტეტები, სახალხო განათლებისა და საფინანსო ორგანოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13 კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მანქანა-ტრაქტორთა პარკის ტექნიკური მდგომარეობისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ[1])

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები ეწევიან მუშაობას მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენებისა და დაცვა-შენახვის, მისი ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის გაუმჯობესებისათვის. ამასთანავე ბევრ მეურნეობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი მანქანებისა და მოწყობილობის შენახვის, მათი რემონტის ხარისხისა და ტექნიკური მოვლის დროულად განხორციელების საქმეში. მთელ რიგ რაიონებში შესუსტებულია სახელმწიფო ზედამხედველობა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ტექნიკური მდგომარეობისადმი.

ტრაქტორების, ავტომობილების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის დაცვა-შენახვის, ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის შემდგომი გაუმჯობესების, აგრეთვე მათი ტექნიკური მდგომარეობისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის გაძლიერების მიზნით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 23 დეკემბრის № 1035 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 17 ივლისის № 420 დადგენილების დამატებით დაეკისროთ სახსოფლტექზედამხედველობის ორგანოებს სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება:

— ტრაქტორების, ავტომობილების, კომბაინების, სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარისხისადმი კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე იმ ორგანიზაციებსა და საწარმოებში, რომლებიც ახორციელებენ ამ მანქანებისა და მოწყობილობის რემონტსა და ტექნიკურ მომსახურებას მეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით („საქსოფლტექნიკის“ სპეციალიზებული სარემონტო სახელოსნოებისა და ქარხნების გარდა);

— კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მიყიდულ ან მათთვის ხელშეკრულების მიხედვით შერემონტებულ ტრაქტორებში, ავტომობილებში, კომბაინებში, სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და მოწყობილობაში საგარანტიო ვადის განმავლობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის დამტკიცებული წესის დაცვისადმი, თუ მიღებული იყო დადგენილი წესით გადაწყვეტილებანი ტექნიკის არასათანადო ხარისხის თაობაზე ამ მეურნეობათა პრეტენზიების დაკმაყოფილების შესახებ;

---

[1]) დანართები არ იბეჭდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების, შენახვისა და ხარჯვის წესების დაცვისადმი.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“ განახორციელონ 1976-1978 წლებში ღონისძიებანი ავტომობილების, ტრაქტორების, მარცვალასაღები კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის რემონტის ხარისხის გასაუმჯობესებლად, იმ ვარაუდით, რომ 1979 წლისათვის „საქსოფლტექნიკის“ სპეციალიზებულ სახელოსნოებსა და ქარხნებში შერემონტებული ავტომობილების, ტრაქტორებისა და მარცვალასაღები კომბაინების რემონტთშორისი ვადა შეადგენდეს ასეთი ახალი მანქანების რემონტამდე სამსახურის ვადის არანაკლებ 80 პროცენტს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს სამმართველომ გააძლიეროს სახელმწიფო ზედამხედველობა სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დაცვისადმი „საქსოფლტექნიკის“ სპეციალიზებულ სარემონტო სახელოსნოებსა და ქარხნებში ავტომობილების, ტრაქტორების, მარცვალასაღები კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის რემონტის დროს.

3. სახსოფლტექზედამხედველობის ორგანოთა განმტკიცებისა და ამ სამსახურის მართვის სრულყოფის მიზნით გარდაიქმნას:

— საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახსოფლტექზედამხედველობის ინსპექცია — სახსოფლტექზედამხედველობის მთავარ სამმართველოდ და იგი დაექვემდებაროს უშუალოდ მინისტრს;

— აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს სახსოფლტექზედამხედველობის ინსპექციები — აღნიშნული სამინისტროებისა და სამმართველოს სახსოფლტექზედამხედველობის განყოფილებებად და ისინი დაექვემდებარონ უშუალოდ მინისტრებსა და სამმართველოს უფროსს;

— რაიონული საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოების ინჟინერ-ინსპექტორთა ჯგუფები — რაიონული საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოების სახსოფლტექზედამხედველობის რაიონულ ინსპექციებად და დაექვემდებარონ ისინი სახელმწიფო ზედამხედველობის საკითხებში უშუალოდ ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს სახსოფლტექზედამხედველობის განყოფილებებს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახსოფლტექზედამხედველობის მთავარ სამმართველოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესდეს სახსოფლტექზედამხედველობის რაიონული ინსპექციების მუშაკთათვის შრომის ანაზღაურების ის პირობები, რაც გათვალისწინებულია რაიონული საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოების მუშაკთათვის.

4. დაწესდეს, რომ:

— სახსოფლტექზედამხედველობის რაიონულ ინსპექციას სათავეში უდგას ინსპექციის უფროსი — მთავარი სახელმწიფო ინჟინერ-ინსპექტორი;

— საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახსოფლტექზედამხედველობის მთავარი სამმართველოს უფროსი, ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს სახსოფლტექზედამხედველობის განყოფილებათა უფროსები და რაიონული საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოების სახსოფლტექზედამხედველობის რაიონულ ინსპექციათა უფროსები თანამდებობაზე დაინიშნებიან და თანამდებობიდან განთავისუფლდებიან დადგენილი წესით დაქვემდებარების მიხედვით ზემდგომი სასოფლო-სამეურნეო ორგანოების წარდგინებით;

— სახსოფლტექზედამხედველობის ორგანოები ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქსა და რაიონებში მანქანებისა და მოწყობილობის ტექნიკური მდგომარეობისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის ყველა საკითხზე ხელმძღვანელობენ მხოლოდ სახსოფლტექზედამხედველობის ზემდგომი ორგანოების მითითებებით.

5. დაწესდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახსოფლტექზედამხედველობის მთავარი სამმართველოს და აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს შესაბამისი განყოფილებების რიცხოვნობა, № 1-4 დანართების თანახმად, ხოლო სახსოფლტექზედამხედველობის რაიონული ინსპექციებისა იმ ანგარიშით, რომ ერთი ინჟინერ-ინსპექტორი მოდიოდეს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა) არსებულ ყოველ 600-800 ტრაქტორზე, თვითმავალ შასზე, ავტომობილზე, მარცვალასაღებ, ჩაის საკრეფ და სხვა ძრავებიან კომბაინზე, მაგრამ არანაკლებ ერთი კაცისა რაიონზე, № 5 დანართის თანახმად.

ნება დაერთოს, როგორც გამონაკლისი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1976 წელს სახსოფლტექზედამხედველობის ორგანოები შეინახოს საოპერაციო ხარჯებისათვის განკუთვნილი საბიუჯეტო ასიგნებებიდ საკავშირო ორგანოებში საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ყოველწლიურად გაითვალისწინოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის სათანადო რაოდენობის ავტომობილების გამოყოფა სახსოფლტექზედამხედველობის ორგანოების საჭიროებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „სოფლტექნიკამ“ უზრუნველყოს „სოფლტექნიკის“ ქარხნების მიერ დამზადებული დიაგნოსტიკის ხელსაწყოების, სამარჯვებისა და ინსტრუმენტების შემოზიდვა იმ ნომენკლატურის მიხედვით, რომელსაც სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ამტკიცებს „საკსოფლტექნიკასთან“ შეთანხმებით, და ამ ხელსაწყოებით აღნიშნული ავტომობილების აღჭურვა, აგრეთვე უზრუნველყოს ტრაქტორების, თვითმავალი შასის, სატრაქტორო მისაბმელების და თვითმავალი საგზაო-სამშენებლო მანქანების სანომრო ნიშნების მიწოდება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახსოფლტექზედამხედველობის მთავარი სამმართველოს შეკვეთით.

7. მეურნეობებში ტრაქტორების, კომბაინების და სხვა მანქანებისა და მოწყობილობის ნაადრევად ჩამოწერის არსებულ ფაქტებთან დაკავშირებით საჭიროდ ჩაითვალოს აიკრძალოს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების ბალანსებიდან სასოფლო-სამეურნეო და მიწასათხრელი ტექნიკისა და მოწყობილობის ჩამოწერა მათი ექსპლუატაციის საამორტიზაციო ვადების გასვლამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს ტექნიკა და მოწყობილობა უვარგისი გახდა ავარიების ან სტიქიური უბედურების შედეგად.

დაწესდეს, რომ ამასთან გადაწყვეტილება აღნიშნული ტექნიკისა და მოწყობილობის ჩამოწერის შესახებ მიიღება მას შემდეგ, რაც მათ საგულდაგულოდ გასინჯავს შესაბამისი კომისია სახსოფლტექზედამხედველობის რაიონული ინსპექციის მთავარი სახელმწიფო ინჟინერ-იხსპექტორის მეთაურობით, და ეს კომისია დაასკვნის, რომ შეუძლებელია ან ეკონომიკურად მიზანშეუწონელია ტექნიკისა და მოწყობილობის შემდგომი ექსპლუატაცია და აღდგენა.

8. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 23 დეკემბრის № 1035 დადგენილებით:

— უფლება მიეცათ:

ა) სახსოფლტექზედამხედველობის ორგანოთა სახელმწიფო ინსპექტორებს — გასცენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე მეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით მანქანების რემონტისა და ტექნიკური მომსახურების განმხორციელებელი ორგანიზაციებისა და საწარმოების („სოფლტექნიკის“ სპეციალიზებული სარემონტო სახელოსნოებისა და ქარხნების გარდა) ხელმძღვანელთათვის სავალდებულო მითითებანი ტრაქტორების, ავტომობილების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის გამოყენების, ტექნიკური მომსახურების, რემონტის, შენახვისა და ჩამოწერის წესების და ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების, შენახვისა და ხარჯვის წესების დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ;

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროების, სოფლის მეურნეობის სამხარეო და საოლქო სამმართველოების სახსოფლტექზედამხედველობის მთავარ სამმართველოებსა და განყოფილებებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეიტანონ რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებში (გაერთიანებებში, ტრესტებში) წარდგინებანი დაკავებული თანამდებობიდან სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების იმ ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა გადაყენების შესახებ, რომლებიც სისტემატურად არღვევენ ტრაქტორების, ავტომობილების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის გამოყენების, ტექნიკური მომსახურების, რემონტის, შენახვისა და ჩამოწერის დადგენილ წესებს და ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების, შენახვისა და ხარჯვის წესებს და დროულად არ ასრულებენ სავალდებულო მითითებებს ამ დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ;

ტრაქტორების, ავტომობილების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის გამოყენების, ტექნიკური მომსახურების, რემონტის, შენახვისა და ჩამოწერის წესების და ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების, შენახვისა და ხარჯვის წესების დარღვევით სახელმწიფოსათვის, აგრეთვე კოლმეურნეობებისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით სახსოფლტექზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექტორებს უფლება მიეცათ დააკისრონ ფულადი დანარიცხები 50 მანეთამდე ოდენობით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე მეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით მანქანების რემონტისა და ტექნიკური მომსახურების განმხორციელებელი საწარმოებისა და ორგანიზაციების („სოფლტექნიკის“ სპეციალიზებული სარემონტო სახელოსნოებისა და ქარხნების გარდა) ხელმძღვანელ მუშაკებს, რომლებსაც დანაშაული მიუძღვით ამ წესების დარღვევის შედეგად მატერიალური ზარალის მიყენებაში;

ბ) დამტკიცდა ნუსხა გამოსაღებისა, რომელსაც სახსოფლტექზედამხედველობის რაიონული ინსპექციები გადაახდევინებენ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეებს ტრაქტორებისა და სხვა მანქანების ტექნიკური გასინჯვისა და რეგისტრაციისათვის და მექანიზატორთა ატესტაციისათვის;

გ) დაწესდა, რომ ტრაქტორებისა და სხვა მანქანების ტექნიკური გასინჯვის განხორციელებისა და რეგისტრაციისათვის და მექანიზატორთა ატესტაციისათვის შემოსული გამოსაღების თანხები, რომლებიც აღემატება სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციის, სახსოფლტექზედამხედველობის ორგანოებისათვის სანომრო ნიშნების, ტექნიკური დოკუმენტაციის, საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების, სამარჯვებისა და ინსტრუმენტის შეძენის ხარჯებს, შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში.

9. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინოს საფინანსო გეგმებში, მოყოლებული 1976 წლიდან, სახსოფლტექზედამხედველობის ორგანოთა საქმიანობით მიღებული შემოსავალი და ამ დადგენილებაში აღნიშნული მიზნებისათვის საჭირო ხარჯები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 23 დეკემბრის № 1003 დადგენილება დაეგზავნოთ სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი 1976 წ. 20 თებერვალი, № 130

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 1035

1975 წლის 23 დეკემბერი

მოსკოვი, კრემლი

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მანქანა-ტრაქტორთა პარკის ტექნიკური მდგომარეობისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ეწევიან მუშაობას მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენებისა და დაცვა-შენახვის, მისი ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის გაუმჯობესებისათვის. ამასთანავე ბევრ მეურნეობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი მანქანებისა და მოწყობილობის შენახვის, მათი რემონტის ხარისხისა და ტექნიკური მოვლის დროულად განხორციელების უზრუნველყოფის საქმეში. მთელ რიგ მოკავშირე რესპუბლიკებში შესუსტებულია სახელმწიფო ზედამხედველობა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ტექნიკური მდგომარეობისადმი.

ტრაქტორების, ავტომობილების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის დაცვა-შენახვის, ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის შემდგომი გაუმჯობესების, აგრეთვე მათი ტექნიკური მდგომარეობისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის გაძლიერების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 13 თებერვლის № 122 დადგენილების (სსრკ დადგ. კრებ., 1969 წ., № 6, მუხ. 34.) დამატებით დაეკისროთ სახსოფლტექზედამხედველობის ორგანოებს სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაქტორების, ავტომობილების, კომბაინების, სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარისხისადმი კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე იმ ორგანიზაციებსა და საწარმოებში, რომლებიც ახორციელებენ ამ მანქანებისა და მოწყობილობის რემონტსა და ტექნიკურ მომსახურებას მეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით („სოფლტექნიკის" სპეციალიზებული სარემონტო სახელოსნოებისა და ქარხნების გარდა);

კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მიყიდულ ან მათთვის ხელშეკრულების მიხედვით შერემონტებულ ტრაქტორებში, ავტომობილებში, კომბაინებში, სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და მოწყობილობაში საგარანტიო ვადის განმავლობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის დამტკიცებული წესის დაცვისადმი, თუ მიღებული იყო დადგენილი წესით გადაწყვეტილებანი ტექნიკის არასათანადო ხარისხის თაობაზე ამ მეურნეობათა პრეტენზიების დაკმაყოფილების შესახებ;

სოფლის მეურნეობაში ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების, შენახვისა და ხარჯვის წესების დაცვისადმი.

2. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და „საკსოფლტექნიკამ" განახორციელონ 1976-1978 წლებში ღონისძიებანი ავტომობილების, ტრაქტორების, მარცვალასაღები კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის რემონტის ხარისხის გასაუმჯობესებლად, იმ ვარაუდით, რომ 1979 წლისათვის „სოფლტექნიკის" სპეციალიზებულ სახელოსნოებსა და ქარხნებში შერემონტებული ავტომობილების, ტრაქტორებისა და მარცვალასაღები კომბაინების სამსახურის რემონტთშორისი ვადა შეადგენდეს ასეთი ახალი მანქანების რემონტამდე სამსახურის ვადის არანაკლებ 80 პროცენტს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტმა გააძლიეროს სახელმწიფო ზედამხედველობა სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დაცვისადმი „სოფლტექნიკის" სპეციალიზებულ სარემონტო სახელოსნოებსა და ქარხნებში ავტომობილების, ტრაქტორების, მარცვალასაღები კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის რემონტის დროს.

3. სახსოფლტექზედამხედველობის ორგანოთა განმტკიცებისა და ამ სამსახურის მართვის სრულყოფის მიზნით სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გარდაქმნას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში მანქანა-ტრაქტორთა პარკის ტექნიკური მდგომარეობისადმი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობაში მანქანებისა და მოწყობილობის ტექნიკური მდგომარეობისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის მთავარ სამმართველოდ (სსრ კავშირის მთავარსახსოფლტექზედამხედველობა) და იგი დაექვემდებაროს უშუალოდ მინისტრს.

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა განიხილონ და გადაწყვიტონ საკითხები იმის შესახებ, რომ გარდაქმნან:

მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროთა სახსოფლტექზედამხედველობის ინსპექციები ამ სამინისტროთა სახსოფლტექზედამხედველობის მთავარ სამმართველოებად, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროების, სოფლის მეურნეობის სამხარეო და საოლქო სამმართველოების სახსოფლტექზედამხედველობის ინსპექციები ამ სამინისტროებისა და სამმართველოების სახსოფლტექზედამხედველობის განყოფილებებად და ისინი დაექვემდებარონ უშუალოდ მინისტრებსა და სამმართველოთა უფროსებს;

რაიონული საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოების ინჟინერ-ინსპექტორთა ჯგუფები — რაიონული საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოების სახსოფლტექზედამხედველობის რაიონულ ინსპექციებად და დაექვემდებარონ ისინი სახელმწიფო ზედამხედველობის საკითხებში უშუალოდ ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროების, სოფლის მეურნეობის სამხარეო და საოლქო სამმართველოების სახსოფლტექზედამხედველობის განყოფილებებს, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკებში, რომლებსაც არა აქვთ საოლქო დაყოფა, — მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროების სახსოფლტექზედამხედველობის მთავარ სამმართველოებს.

დაწესდეს სახსოფლტექზედამხედველობის რაიონული ინსპექციების მუშაკთათვის შრომის ანაზღაურების ის პირობები, რაც გათვალისწინებულია რაიონული საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოების მუშაკთათვის.

4. დაწესდეს, რომ:

სახსოფლტექზედამხედველობის რაიონულ ინსპექციას სათავეში უდგას ინსპექციის უფროსი — მთავარი სახელმწიფო ინჟინერ-ინსპექტორი;

მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროების სახსოფლტექზედამხედველობის მთავარი სამმართველოების უფროსები, ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროების, სოფლის მეურნეობის სამხარეო და საოლქო სამმართველოების სახსოფლტექზედამხედველობის განყოფილებათა უფროსები და რაიონული საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოების სახსოფლტექზედამხედველობის რაიონულ ინსპექციათა უფროსები თანამდებობაზე დაინიშნებიან და თანამდებობიდან განთავისუფლდებიან დადგენილი წესით დაქვემდებარების მიხედვით ზემდგომი სასოფლო-სამეურნეო ორგანოების წარდგინებით;

სახსოფლტექზედამხედველობის ორგანოები მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებსა და რაიონებში მანქანებისა და მოწყობილობის ტექნიკური მდგომარეობისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის ყველა საკითხზე ხელმძღვანელობენ მხოლოდ სახსოფლტექზედამხედველობის ზემდგომი ორგანოების მითითებებით.

5. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა განსაზღვრონ საბ-სოფლტექზედამხედველობის რაიონული ინსპექციების რიცხოვნობა იმ ანგარიშით, რომ ერთი ინჟინერ-ინსპექტორი მოდიოდეს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა) არსებულ ყოველ 600-800 ტრაქტორზე, თვითმავალ შასზე, ავტომობილზე, მარცვალასაღებ და სხვა ძრავებიან კომბაინზე, მაგრამ არანაკლებ ერთი კაცისა რაიონზე (მოკავშირე რესპუბლიკის მმართველობის ორგანოების მუშაკთა რიცხოვნობისა და მათი შენახვისათვის გათვალისწინებულ ასიგნებათა ფარგლებში).

6. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გაითვალისწინონ გეგმებში სათანადო რაოდენობის ავტომობილების გამოყოფა სახსოფლტექზედამხედველობის ორგანოების საჭიროებისათვის.

„საკსოფლტექნიკამ“ აღჭურვოს აღნიშნული ავტომობილები „სოფლტექნიკის“ ქარხნების მიერ დამზადებული დიაგნოსტიკის ხელსაწყოებით, სამარჯვებითა და ინსტრუმენტით იმ ნომენკლატურის მიხედვით, რომელსაც სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ამტკიცებს „საკსოფლტექნიკასთან“ შეთანხმებით, აგრეთვე უზრუნველყოს ტრაქტორების, თვითმავალი შასის, სატრაქტორო მისაბმელებისა და თვითმავალი საგზაო-სამშენებლო მანქანების სანომრო ნიშნების მიწოდება სსრ კავშირის მთავარსახსოფლტექზედამხედველობის შეკვეთით.

7. მეურნეობებში ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა მანქანებისა და მოწყობილობის ნაადრევად ჩამოწერის არსებულ ფაქტებთან დაკავშირებით საჭიროდ ჩაითვალოს აიკრძალოს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების ბალანსებიდან სასოფლო-სამეურნეო და მიწასათხრელი ტექნიკისა და მოწყობილობის ჩამოწერა მათი ექსპლუატაციის საამორტიზაციო ვადების გასვლამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს ტექნიკა და მოწყობილობა უვარგისი გახდა ავარიების ან სტიქიური უბედურების შედეგად. ამასთან გადაწყვეტილება აღნიშნული ტექნიკისა და მოწყობილობის ჩამოწერის შესახებ მიიღება მას შემდეგ, რაც მათ საგულდაგულოდ გასინჯავს შესაბამისი კომისია სახსოფლტექზედამხედველობის რაიონული ინსპექციის მთავარი სახელმწიფო ინჟინერ-ინსპექტორის მეთაურობით, და ეს კომისია დაასკვნის, რომ შეუძლებელია ან ეკონომიკურად მიზანშეუწონელია ტექნიკისა და მოწყობილობის შემდგომი ექსპლუატაცია და აღდგენა.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შეიტანოს შესაბამისი ცვლილებანი შენობათა, ნაგებობათა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მოწყობილობისა და სხვა ქონების ჩამოწერის წესის ინსტრუქციაში, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 7 იანვრის № 10 დადგენილების შესაბამისად (სსრკ დადგ. კრებ., 1966 წ., № 2, მუხ. 13).

8. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და „საკსოფლტექნიკამ“ სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროს, მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის სამინისტროს და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით 3 თვის ვადაში შეიმუშაოს და წარუდგინოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წინადადებანი მაღალმწარმოებლური ტრაქტორებისათვის, აგრეთვე მარცვალასაღები კომბაინებისა და წლის განმავლობაში მოკლე ხნით გამოსაყენებელი სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისათვის საამორტიზაციო ანარიცხების ნორმების შეცვლის შესახებ, ამასთან მხედველობაში მიიღოს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში აღნიშნული ტექნიკის გამოყენების ვადის გადიდება.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა განიხილოს აღნიშნული წინადადებანი და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით შეცვალოს მაღალმწარმოებლური ტრაქტორებისათვის, მარცვალასაღები კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისათვის საამორტიზაციო ანარიცხების ნორმები, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 14 მარტის № 183 დადგენილებით.

9. უფლება მიეცეთ:

სახსოფლტექზედამხედველობის ორგანოთა სახელმწიფო ინსპექტორებს — გასცენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე მეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით მანქანების რემონტისა და ტექნიკური მომსახურების განმხორციელებელი ორგანიზაციებისა და საწარმოების („სოფლტექნიკის“ სპეციალიზებული სარემონტო სახელოსნოებისა და ქარხნების გარდა) ხელმძღვანელთათვის სავალდებულო მითითებანი ტრაქტორების, ავტომობილების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის გამოყენების, ტექნიკური მომსახურების, რემონტის, შენახვისა და ჩამოწერის წესების და ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების, შენახვისა და ხარჯვის წესების დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ;

სსრ კავშირის მთავარსახსოფლტექზედამხედველობას და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროების, სოფლის მეურნეობის სამხარეო და საოლქო სამმართველოების სახსოფლტექზედამხედველობის მთავარ სამმართველოებსა და განყოფილებებს — შეიტანონ რესპუბლიკების შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებში, სამხარეო და საოლქო სამმართველოებში (გაერთიანებებში, ტრესტებში) წარდგინებანი დაკავებული თანამდებობიდან სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების იმ ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა გადაყენების შესახებ, რომლებიც სისტემატურად არღვევენ ტრაქტორების, ავტომობილების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის გამოყენების, ტექნიკური მომსახურების, რემონტის, შენახვისა და ჩამოწერის დადგენილ წესებს და ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების, შენახვისა და ხარჯვის წესებს და დროულად არ ასრულებენ სავალდებულო მითითებებს ამ დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ტრაქტორების, ავტომობილების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის გამოყენების, ტექნიკური მომსახურების, რემონტის, შენახვისა და ჩამოწერის წესების და ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების, შენახვისა და ხარჯვის წესების დარღვევით სახელმწიფოსათვის, აგრეთვე კოლმეურნეობებისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით სახსოფლტექზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექტორებს უფლება მიეცეთ დააკისრონ ფულადი დანარიცხები 50 მანეთამდე ოდენობით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე მეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით მანქანების რემონტისა და ტექნიკური მომსახურების განმხორციელებელი საწარმოებისა და ორგანიზაციების („სოფლტექნიკის“ სპეციალიზებული სარემონტო სახელოსნოებისა და ქარხნების გარდა) ხელმძღვანელ მუშაკებს, რომლებსაც დანაშაული მიუძღვით ამ წესების დარღვევის შედეგად მატერიალური ზარალის მიყენებაში.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეიმუშაოს და დაამტკიცოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით სახსოფლტექზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექტორთა მიერ მატერიალური ზარალის განსაზღვრისა და ფულადი დარიცხვის წარმოების წესები.

11. დამტკიცდეს თანდართული ნუსხა გამოსაღებისა, რომელსაც სახსოფლტექზედამხედველობის რაიონული ინსპექციები გადაახდევინებენ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეებს ტრაქტორებისა და სხვა მანქანების ტექნიკური გასინჯვისა და რეგისტრაციისათვის და მექანიზატორთა ატესტაციისათვის.

12. დაწესდეს, რომ ტრაქტორებისა და სხვა მანქანების ტექნიკური გასინჯვის განხორციელებისა და რეგისტრაციისათვის და მექანიზატორთა ატესტაციისათვის შემოსული გამოსაღების თანხები, რომლებიც აღემატება სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციის, სახსოფლტექზედამხედველობის ორგანოებისათვის სანომრო ნიშნების, ტექნიკური დოკუმენტაციის, საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების, სამარჯვებისა და ინსტრუმენტის შეძენის ხარჯებს, შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში.

13. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინოს საფინანსო გეგმებში, მოყოლებული 1976 წლიდან, სახსოფლტექზედამხედველობის ორგანოთა საქმიანობით მიღებული შემოსავალი და ამ დადგენილებაში აღნიშნული მიზნებისათვის საჭირო ხარჯები.

14. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით შეიტანოს ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი და დამატებანი სახსოფლტექზედამხედველობის მოქმედ დებულებაში, რომელიც დამტკიცებულია სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 13 თებერვლის № 122 დადგენილების შესაბამისად (სსრკ დადგ. კრებ., 1969 წ., № 6, მუხ. 34).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 23 დეკემბრის № 1035
დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

გამოსაღებისა, რომელიც გადახდებათ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეებს ტრაქტორებისა და სხვა მანქანების ტექნიკური გასინჯვისა და რეგისტრაციისათვის და მექანიზატორთა ატესტაციისათვის

I. მეურნეობებს გადახდებათ გამოსაღები:

ტრაქტორის, თვითმავალი შასის, თვითმავალი საგზაო-სამშენებლო მანქანის, მარცვალასაღები, სილოსასაღები, კარტოფილასაღები, ჩაისსაკრეფი, ბამბის საკრეფი, სელის ასაღები, სიმინდის ასაღები ან სხვა კომბაინის და სატრაქტორო მისაბმელის ყოველწლიური ტექნიკური გასინჯვისათვის — 1 მანეთის ოდენობით;

ტრაქტორის, თვითმავალი შასის, სატრაქტორო მისაბმელის, კომბაინის ან საგზაო-სამშენებლო მანქანის ტექნიკური პასპორტის დუბლიკატის გაცემისათვის — 1 მანეთისა და 50 კაპიკის ოდენობით;

ტრაქტორის, თვითმავალი შასის, თვითმავალი საგზაო-სამშენებლო მანქანისა და სატრაქტორო მისაბმელის სანომრო ნიშნის მიცემისათვის — 1 მანეთის ოდენობით;

მეურნეობების მიერ გაგზავნილ პირთაგან გამოცდის მიღებისა და მათთვის ტრაქტორის, თვითმავალი შასის, კომბაინის ან სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანის მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობის მიცემისათვის — 1 მანეთის ოდენობით.

II. ცალკეულ მოქალაქეებს გადახდებათ გამოსაღები:

იმ პირთაგან გამოცდის მიღებისათვის, რომლებიც გამოცდას აბარებენ თავიანთი განცხადებით, და მათთვის ტრაქტორის, თვითმავალი შასის, კომბაინის ან სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანის მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობის მიცემისათვის — 1 მანეთის ოდენობით;

მანქანების მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობის მიცემისათვის — დაკარგულის ნაცვლად — 2 მანეთის ოდენობით.

შენიშვნა. იმ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებს, სადაც შემოღებულია საწარმოო სწავლება სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა სპეციალობების მიხედვით, გამოცდის მიღებისა და ტრაქტორის, თვითმავალი შასის, კომბაინის ან სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანის მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობის მიცემისათვის გამოსაღები არ გადახდებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14 იაკობ გოგებაშვილის მედლის დებულების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება იაკობ გოგებაშვილის მედლის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „იაკობ გოგებაშვილის მედლის დაწესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 17 ოქტომბრის № 725 დადგენილების № 1 დანართი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 24 თებერვალი. № 139

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1976 წლის 24 თებერვლის № 139
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

იაკობ გოგებაშვილის მედლის შესახებ

1. იაკობ გოგებაშვილის მედლით დაჯილდოვდებიან ის მასწავლებლები, პედაგოგიკის მეცნიერებათა და სხვა დარგის მუშაკები, რომლებმაც თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი პედაგოგიკის ისტორიისა და თეორიის აქტუალური საკითხების წარმატებით დამუშავებაში, სწავლებისა და აღზრდის მეთოდების სრულყოფაში, სკოლამდელი და სასკოლო ასაკის მოსწავლეთათვის სანიმუშო სახელმძღვანელოების, სამეცნიერო-პოპულარული და სხვა წიგნების შექმნაში.

2. იაკობ გოგებაშვილის მედლით დასაჯილდოებელი კანდიდატების პირად საქმეებს, სათანადო შრომების ნუსხის თანდართვით ან განსაკუთრებული პრაქტიკული დამსახურების დეტალური აღწერით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წარუდგენენ: აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, უმაღლესი სასწავლებლები, პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი.

3. იაკობ გოგებაშვილის მედლით დაჯილდოების საკითხს წყვეტს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია სამინისტროსთან არსებული იაკობ გოგებაშვილის მედლით დამჯილდოვებელი კომისიის მიერ ფარული კენჭისყრის საფუძველზე მიღებული დადგენილების შესაბამისად.

4. იაკობ გოგებაშვილის მედლით დაჯილდოება ხდება წელიწადში ერთხელ — იაკობობის დღის აღსანიშნავად.

5. დაჯილდოებულს იაკობ გოგებაშვილის მედალს გადასცემს საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.

6. დაჯილდოებულნი იაკობ გოგებაშვილის მედალს ატარებენ მკერდის მარჯვენა მხარეს.

ინდექსი — 76187

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 1 за 1976 год.

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/VI-76 წ. ქაღალდის ფორმატი 70×108 1/16.
საბეჭდი თაბახი 3,5, საღრიცხვო თაბახი 3,5.

წლიური ხელმოწერის ფასი 8 მან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეკვეთა № 415 უე 04249 ტირაჟი 1950

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

6 101 / 143

ეროვნული
ბიბლიოთეკა